დამტკიცებულია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აპრილის N8 გადაწყვეტილებით

თბილისის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ

მუხლი **1.** ზოგადი დებულებები

1. ეს მექანიზმი შემუშავებულია „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს N415 ბრძანებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქციის“, „საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2007 წლის 27 მარტის N499 ბრძანებისა და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის დებულების საფუძველზე;

2. ეს მექანიზმი მიზანად ისახავს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში საგანგებო სიტუაციებზე დროული და ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფას, შედეგების შერბილებასა და ლიკვიდაციას, შესაბამის პირთა კოორდინირებული ქმედებების უზრუნველყოფას.

მუხლი **2.** საგანგებო შტაბი

1. საგანგებო სიტუაციებზე დროული და ეფექტური რეაგირების განხორციელების მიზნით თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის ფარგლებში თჰუ რექტორის ბრძანებით იქმნება საგანგებო შტაბი;

2. საგანგებო შტაბს ხელმძღვანელობს თჰუ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ან მისი წარდგინებით ადმინისტრაციული სამსახურის სხვა თანამშრომელი;

3. საგანგებო შტაბის შემადგენლობა განისაზღვრება საგანგებო შტაბის ხელმძღვანელის წარდგინებით, თჰუ რექტორის ბრძანებით;

4. საგანგებო შტაბში გაერთიანებულია:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები;

ბ) რადიაციულ რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირი;

გ) მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი;

5. საგანგებო სიტუაციის დროს სამედიცინო რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირია - ექიმი.

მუხლი **3.** საგანგებო შტაბის ხელმძღვანელი

1. საგანგებო შტაბის უფროსი პასუხისმგებელია თჰუ რექტორის წინაშე;

2. საგანგებო შტაბის უფროსის ფუნქციაა საგანგებო სიტუაციებში მოქმედი უსაფრთხოების ჯგუფის ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს შეტყობინებას, კოორდინაციას გაუწევს საევაკუაციო საქმიანობას, შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას ობიექტზე მომუშავე პერსონალის დაცვისა და მატერიალური ზარალის თავიდან ასაცილებლად, მიიღებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზომებს და უზრუნველყოფს ხანძრის დროს მაქსიმალურ მობილიზებას.

3. საგანგებო შტაბის უფროსი უშუალოდაა პასუხისმგებელი ევაკუაციასა და შეტყობინებაზე;

4. საგანგებო შტაბის უფროსი ვალდებულია:

ა) შეადგინოს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა და აამოქმედოს იგი შესაბამისი სიტუაციის შექმნისას;

ბ) საგანგებო სიტუაციის დროს დროულად შეკრიბოს საგანგებო შტაბი, გაანაწილოს ფუნქციები, ჩამოაყალიბოს მოხალისეთა ჯგუფი, აღჭურვოს ისინი შესაბამისი ინვენტარითა და მოამზადოს ქმედებათა განსახორციელებლად;

გ) განახორციელოს საევაკუაციო პროცესის ორგანიზება და წარმართვა, განსაზღვროს საევაკუაციო მარშრუტი;

დ) განახორციელოს მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებების დაგეგმვა.

მუხლი **4.** შეტყობინება და შეტყობინების სქემა

ა) საგანგებო შტაბის ხელმძღვანელი მოვალეა სწრაფად შეკრიბოს შტაბი, მოკლედ განუმარტოს შექმნილი ვითარება, დაუსახოს თითოეულს ამოცანები;

ბ) სასწრაფოიდ შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტმენტს და რექტორს საგანგებო სიტუაციის თობაზე;

გ) სასწრაფოიდ შეატყობინოს თჰუ ადმინისტრაციულ, აკადემიურ და დამხმარე პერსონალს, სტუდენტებსა და პროფესიულ სტუდენტებს, აგრეთვე თჰუ-ს შენობაში მყოფ სხვა პირებს საგანგებო სიტუაციის შექმნის შესახებ; თჰუ პერსონალისა და სტუდენტთა შეტყობინება ხორციელდება შეტყობინების სქემის მიხედვით;

დ) კავშირი ხორციელდება სატელეფონო საშუალებებით. საქალაქო სატელეფონო კავშირგაბმულობის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში კავშირი ხორციელდება მობილური სატელეფონო კავშირით.

ე) შეტყობინების სქემა:



მუხლი 5. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

მატერიალურ–ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) მიიღოს აქტიური მონაწილეობა რეაგირების გეგმის შედგენაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების გათვალისწინებით;

ბ) მოამზადოს ანგარიში მოხალისეთა ჯგუფის აღჭურვისათვის საჭირო მოწყობილობების შეძენა–განახლების თაობაზე, სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ამოცანების შესასრულებლად;

გ) იცოდეს სპეცაღჭურვილობის რაოდენობა, მისი შეძენისა და შენახვის პირობები;

დ) მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდეს აყვანილი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;

ე) იცოდეს მშვიდობიან პირობებში თავშესაფრის სწორი მომსახურეობა და ექსპლუატაცია, მუდმივ მზადყოფნაში ჰქონდეთ მოყვანილი იგი თანამშრომელთა შეფარებისათვის;

ვ) საჭიროების შემთხვევაში სწრაფად მოიყვანონ თავშესაფარი მზადყოფნის მდგომარეობაში პერსონალისა და სტუდენტთა შესაფარებლად.

მუხლი 6. განგაშის ზარი

საგანგებო სიტუაციების განვითარებისას ჩაირთვება განგაშის ზარი (წინასწარ შეთანხმებული ხმოვანი სიგნალის იმიტაცია ან ხმოვანი შეტყობინება) და ორგანიზება უკეთდება პირველ რიგში გასატარებელ შემდეგ ძირითად ღონისძიებებს:

ა) შეტყობინების სისტემების მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა;

ბ)თჰუ პერსონალსა და სტუდენტთა ევაკუაცია ხანძრის ან სხვა საგანგებო სიტუაციის ზონიდან;

გ) პერსონალის და სტუდენტთა უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, ასეთის არსებობისა და საჭიროების შემთხვევაში;

დ) სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება;

ე) მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია უსაფრთხო ზონაში;

ვ) სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება.

მუხლი 7. ხანძარსაწინააღმდეგო რეაგირება

1. ხანძარსაწინააღმდეგო რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირი:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირი წინასწარ განსაზღვრავს დამხმარე მოხალისეთა ჯგუფის შემადგენლობას, ზრუნავს მათი მომზადების დონეზე, უზრუნველყოფს საჭიროების შემათხვევაში მათ სწრაფად შეკრებას;

ბ) შეისწავლის თჰუ–ს შენობა და ელექტროგაყვანილობას სახანძრო დაცვის თვალსაზრისით;

გ) იცის ელექტროენერგიის მოწოდების წყარო, მისი საერთო გამომრთველის ადგილმდებარეობა, ელექტროგაყვანილობის ვარგისიანობა, სუსტი ადგილები;

დ) ყოველთვის მზა მდგომარეობაში აქვს წყლის სახანძრო რეზერვუარი ან/და წყლის სხვა წყარო; განსაზღვრავს წყლის მოწოდების საშუალებებსა და რაოდენობას;

ე) სისტემატიურად ამოწმებს ხანძარსაწინააღმდეგო დაფების დაკომპლექტებას საჭირო ინვენტარითა და ცეცხლმქრობებით; იცის ცეცხლმქრობებთა ვარგისიანობა, მათი შევსების დრო;

ვ) სისტემატიურად ახორციელებს ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, ამოწმებს ელექტროგადამცემი ხაზების მდგომარეობას, ტერიტორიის დასუფთავებას, ცეცხლმაქრი საშუალებების მარაგის არსებობას და სხვა;

ზ) სისტემატიურად ატარებს, თეორიულ–პრაქტიკულ მეცადინეობებს მოხალისეთათვის;

თ) იცის თჰუ პერსონალის რაოდენობა.

2. ხანძრის შემთხვევაში ხანძარსაწინააღმდეგო რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირი:

ა) დაუყოვნებლივ ატყობინებს საგანგებო შტაბის ხელმძღვანელს საგანგებო სიტუაციის შესახებ;

ბ) სასწრაფოდ ატყობინებს საგანგებო სიტუაციის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მისვლამდე შეძლებისდაგვარად იღებას ზომებს ადამიანების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების გადასარჩენად, ხანძრის ჩასაქრობად;

გ) განსაზღვრავს ხანძრის კერის წარმოქმნისა და გავრცელების ადგილს;

დ) ხანძრის ჩაქრობისას გამოყოფს აუცილებელ ძალებსა და საშუალებებს; კრებს მოხალისეთა ჯგუფს და უტარებს ინსტუქტაჟს;

ე) ყველა საშუალებების გამოყენებით განახორციელებს ცეცხლის ქრობასა და მის ლოკალიზებას;

ვ) ადგილზე მოსულ მაშველებს მოახსენებს საქმის ვითარებასა და მათთან ერთად განაგრძობს ცეცხლის ქრობას; ხელს უწყობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს ხანძრის ჩაქრობაში, მისი გაჩენის, გავრცელების მიზეზებისა და პირობების დადგენაში, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დამრღვევ და ხანძრის გაჩენაში დამნაშავე პირთა გამოვლენაში;

ზ) უზრუნველყოფს სტუდენტთა და პროფესორ–მასწავლებელთა, თჰუ–ს შენობაში მყოფი სხვა პირების გამოყვანასა და მათ უსაფრთხო ადგილას განთავსებას;

თ) შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს დოკუმენტაციის, კომპიუტერული ტექნიკის, ლაბორატორიული მოწყობილობების, ნივთების და ინვენტარის უსაფრთხო ადგილას განთავსებას.

მუხლი **8.** რადიაციული რეაგირება

ა) რადიაციულ რეაგირებაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა იცოდეს მის წინაშე მდგარი ამოცანები; განუწყვეტლივ სრულყოფდეს საკუთარ პირად მომზადებას;

ბ) სისტემატიურად უწევს კონტროლს თჰუ–ს ჯანდაცვის ფაკულტეტზე განთავსებული მოწყობილობების მდგომარეობას;

გ) სისტემატიურად ატარებს რადიაციული უსაფრთხოების თემებზე თეორიულ– პრაქტიკულ მეცადინეობებს;

დ) უზრუნველყოფს რადიაციული რეაგირების ორგანიზებას, მათ შორის შეტყობინებასა და ევაკუაციას.

მუხლი **9.** ექიმი საგანგებო სიტუაციებში

საგანგებო სიტუაციის დროს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ექიმი:

ა) აღმოუჩენს პირველად სამედიცინო დახმარებას დაშავებულ ადამიანებს;

ბ) საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულები გადაჰყავს სამედიცინო დაწესებულებებში სამკურნალოდ;

გ) უნივერსიტეტში შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ აცნობებს საქალაქო სამედიცინო სამსახურის უფროსს;

დ) უზრუნველყოფს დაზარალებულთა ოჯახის წევრების ინფორმირებას;

ე) აკონტროლებს სსმ სტუდენტების ევაკუაციის პროცესს.

მუხლი **10.** დასკვნითი დებულებები

ამ მექანიზმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება თჰუ რექტორის ბრძანებით.

დანართი:
დანართი N1 - საგანგებო შტაბის შემადგენლობა
დანართი N2 - ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის ნუსხა
დანართი N3 - თჰუ გენგეგმა
დანართი N4 - სართულების გეგმები საევაკუაციო სქემებით.